



ქალაქ თბილისის მთავრობა
 დადგენილება № — 19.37.826
 "22" ივლისი 2011 წ.



214

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.48.691 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.48.691 დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“.

2. დადგენილების პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ წესდება, დანართის შესაბამისად.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა №1 (ბოტანიკური ბაღი).

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ ღირეპტორად დაინიშნოს მაია თავართქილაძე (პირადი №01010006188).

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ წესდებასა და სარეგისტრაციო განაცხადზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ღირეპტორს.“

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) დ. ნინიძეს.

4. დადგენილების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) ერთ თვეში.

ქ. თბილისის მერის პირველი
 მოადგილე (ვიცე-მერი)

დ. ნინიძე

დავით ნინიძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის –
„საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“
წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა – საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (შემდგომში ბოტანიკური ბაღი/ბაღი).
- 1.2. ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის მიზანიც არ არის სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე წესდების და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.
- 1.3. ბოტანიკურ ბაღს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტოც) საბანკო დაწესებულებებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
- 1.4. ბოტანიკური ბაღი უფლებამოსილია სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად, თანასწორობის საფუძველზე გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებრივ მოძრაობებში, სამეცნიერო-კვლევით და სხვა გაერთიანებებში.
- 1.5. ბოტანიკურ ბაღს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, სამეცნიერო კვლევითი ფონდები, რომლებიც იმოქმედებენ ბაღის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე, აგრეთვე განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.
- 1.6. ბოტანიკური ბაღს საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც მიიხმარს და განაგებს დანიშნულებისამებრ, თავისი მიზნების მისაღწევად. ბაღს უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივ უფლებები, იკისროს ვალდებულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
- 1.7. ბოტანიკურ ბაღს შეუძლია პქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან შესაბამისი შეთანხმებები, ხელშეკრულებები და მონაწილეობა მიიღოს იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომელიც შესაბამისობაში მოდის ბაღის მიზნებთან.
- 1.8. ბოტანიკური ბაღი დამოუკიდებელია თავისი დამფუძნებლის, ასევე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისგან და პასუხს არ აგებს მათი ვალდებულებებისთვის, როგორც ისინი პასუხს არ აგებენ ბაღის ვალდებულებებისთვის. ბოტანიკური ბაღის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით.
- 1.9. ბოტანიკური ბაღის სამეურნეო წლად ითვლება კალენდარული წელი.
- 1.10. ბოტანიკური ბაღის იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, ქუჩა ბოტანიკური №1 (ბოტანიკური ბაღი).

მუხლი 2. ბოტანიკური ბაღის მიზნები და ამოცანები

- 2.1. ბოტანიკური ბაღის მიზნები და ამოცანებია:
 - 2.1.1. ბიომრავალფეროვნების შესწავლა და კონსერვაცია ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე;
 - 2.1.2. მსოფლიოს სხვადასხვა ფლორისტული ოლქების მცენარეთა სახეობების კოლექციების შექმნა და არსებული კოლექციების მდგრადობის უზრუნველყოფა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და რეკრეაციული მიზნით;

- 2.1.3. საქართველოში გავრცელებული ენდემური და მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე მცენარეთა სახეობებისა და კულტურული ფლორის ჯიშების გენეტიკური ბანკის შექმნა;
- 2.1.4. საქართველოს ფლორის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება, *ex-situ* კონსერვაცია და აღდგენა ბუნებრივ გარემოში;
- 2.1.5. საქართველოს მოსახლეობაში არსებული ტრადიციული ბოტანიკური ცოდნის დოკუმენტირება და ეთნობოტანიკური მონაცემების ბაზის შექმნა;
- 2.1.6. სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან ერთობლივი საქმიანობის წარმოება;
- 2.1.7. საველე ექსპედიციების მოწყობა კოლექციების შესავსებად და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- 2.1.8. ბაღის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა/კონსერვაცია და პოპულარიზაცია;
- 2.1.9. ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეის მოდერნიზაცია; სანერგე და სასათბურე მეურნეობების შექმნა და განვითარება;
- 2.1.10. ბოტანიკური ცოდნის გავრცელება სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურის მომზადებითა და გამოცემით;
- 2.1.11. სამეცნიერო კონფერენციების, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, გამოფენებისა და სხვ. მოწყობა ბაღის ტერიტორიაზე;
- 2.1.12. საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება ყველა ასკობრივ ჯგუფსა და განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობებზე ორიენტირებული ეკოლოგიური განათლების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით;
- 2.1.13. ეკოლოგიურ-შემეცნებითი ტურიზმის ხელშეწყობა.
- 2.2. ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ბოტანიკურ ბაღს შეუქმნია განახორციელოს სხვა ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3.

ბოტანიკური ბაღის დამფუძნებლები

- 3.1. ბოტანიკური ბაღი იქმნება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.
- 3.2. ბოტანიკური ბაღის დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მერია წარმოდგენილი ქ. თბილისის მთავრობის სახით.

მუხლი 4.

ბოტანიკური ბაღის დამფუძნებლის უფლებამოსილებანი

- 4.1. დამფუძნებელი უფლებამოსილია:
- 4.1.1. დაამტკიცოს ბოტანიკური ბაღის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;
- 4.1.2. შეცვალოს ბოტანიკური ბაღის მიზნები და ამოცანები;
- 4.1.3. დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს ბოტანიკური ბაღის დირექტორი, განსაზღვროს მისი უფლებები და ვალდებულებები;
- 4.1.4. ჰოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ხელმძღვანელი პირებისგან ბოტანიკური ბაღის საქმიანობის შესახებ;
- 4.1.5. წოდისძინოს ფინანსური და სხვა სახის ანგარიშები;
- 4.1.6. დაამტკიცოს ბოტანიკური ბაღის მიერ დასაფინანსებელი ცალკეული პროექტები და აკონტროლოს მათი განხორციელება;
- 4.1.7. განიხილოს ბოტანიკური ბაღის დირექტორის მიერ ბიუჯეტის ათვისების, ასევე, საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში;

4.1.8. დაამტკიცოს ბოტანიკური ბაღის საქმიანობის ბიუჯეტი და ბაღის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მასში ცვლილებები და შეიტანოს დამატებები;

4.1.9. მიიღოს გადაწყვეტილება ბოტანიკური ბაღის საქმიანობის შეჩერების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;

4.1.10. გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით არ განეკუთვნება ბოტანიკური ბაღის დირექტორის უფლებამოსილებას.

4.2. მხოლოდ დამფუძნებლის წინასწარი წერილობითი თანხმობით არის შესაძლებელი:

4.2.1. ბოტანიკური ბაღის მიერ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

4.2.2. სესხის აღება/გაცემა;

4.2.3. თავდობა;

4.2.4. სხვა გადაწყვეტილებების მიღება ბოტანიკური ბაღის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 5.

ბოტანიკური ბაღის სტრუქტურა და მართვა

5.1. ბოტანიკურ ბაღს ხელმძღვანელობს დირექტორი და დამფუძნებელი.

5.2. ბოტანიკური ბაღის დირექტორი:

5.2.1. მართავს ბოტანიკურ ბაღის და სრულად ახორციელებს მის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას;

5.2.2. მოქმედებს ბოტანიკური ბაღის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

5.2.3. ბოტანიკური ბაღის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, დამფუძნებელთან შეთანხმებით იძენს და განკარგავს ბაღის ქონებას.

5.2.4. ბოტანიკური ბაღის მიზნების მისაღწევად იყენებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას. ასევე, ბაღის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხულ მატერიალურ სახსრებს, ამასთან, ბოტანიკური ბაღის დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე.

5.2.5. დამფუძნებელთან ერთად შედამხედველობს ბოტანიკური ბაღის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას.

5.2.6. ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ხელს აწერს ბაღის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას;

5.2.7. განსაზღვრავს ბოტანიკური ბაღის მომსახურებისა და დამხმარე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხს მხოლოდ დამფუძნებელთან შეთანხმებით.

5.2.8. ამტკიცებს ბაღის შინაგანაწესს.

5.2.9. დამფუძნებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს საშტატო ნუსხასა და ანაზღაურების საკითხებს.

5.2.10. ნიშნავს და ათავისუფლებს ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, განსაზღვრავს პრემიების გაცემის ან სხვაგვარი წახალისების საკითხებს.

5.2.11. წარმართავს და ორგანიზებას უწევს ბოტანიკური ბაღის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

5.2.12. დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს ბიუჯეტის, ასევე, ბოტანიკური ბაღის საქმიანობის შესახებ;

5.2.13. წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები.

5.3. დამფუძნებელი (ქ. თბილისის მთავრობა) ახორციელებს ამ წესდების მე-4 მუხლითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.4. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მთავრობა.
 5.5. დამფუძნებელი აყალიბებს ბაღის საზოგადოებრივ საბჭოს ბაღის საქმიანობის ხელშეწყობისა და გამჭვირვალების უზრუნველსაყოფად. დამფუძნებელი ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგენს დამფუძნებელს. საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 7 ადამიანით საბჭოს თავმჯდომარის ჩათვლით.

მუხლი 6.

ბოტანიკური ბაღის ქონება, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

6.1. ბოტანიკური ბაღის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის.
 6.2. ბოტანიკური ბაღის დაფინანსების წყაროებია:
 6.2.1. ადგილობრივი ბიუჯეტი;
 6.2.2. მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიები;
 6.2.3. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, სხვა საფინანსო დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებების, ფონდების, სპონსორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შემოწირულობანი (ან/და გრანტები), როგორც ერთნაირი, ისე უცხოური ვალუტით, რომელთა მიღება ბოტანიკური ბაღის მიერ ხორციელდება დამფუძნებლის თანხმობის საფუძველზე;
 6.2.5. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ისეთი კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას;
 6.2.6. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
 6.3. ბოტანიკურ ბაღს შეუძლია საკუთრებაში ქონდეს შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით;
 6.4. საკუთარი მიზნების მისაღწევად ბოტანიკურ ბაღს უფლება აქვს განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომლისგანაც მიღებული მოგება გამოიყენება მხოლოდ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მისი განაწილება დამფუძნებლებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის არ დაიშვება.
 6.5. ბოტანიკური ბაღის დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიზნობრივ განკარგვასა და ქონების დაცვის საქმეში.
 6.6. ბოტანიკური ბაღი მისთვის გადაცემულ ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად. ქონების გასხვისება, გამსხვისებლის წერილობითი თანხმობით, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს უწყობს ბაღის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობას.
 6.7. ბოტანიკური ბაღი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ქ. თბილისის მთავრობას.

მუხლი 7.

ბოტანიკური ბაღი წესდების მოქმედების, გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესები

7.1. ბოტანიკური ბაღის წესდება მოქმედებს მისი საქმიანობის ყველა სფეროში, მისი დაცვა სავალდებულოა ბაღის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირისთვის.

20

7.2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე ახალი წესდების მიღება, ბოტანიკური ბაღის დამფუძნებლის განსაკუთრებული პრეროგატივაა.

მუხლი 8.

ბოტანიკური ბაღი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

8.1. ბოტანიკური ბაღის რეორგანიზაცია (დაყოფა და გაერთიანება/შერწყმა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ბოტანიკური ბაღის ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

19.37.826
22.07.2011წ.
პროექტი
21

ქ. თბილისის მთავრობის
დადგენილება № ---
--- ივლისი 2011 წელი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“ ქადაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.48.691 დადგენილებაში (ველიძეების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. ქადაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.48.691 დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დაფუძნების შესახებ“.

2. დადგენილების პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ წესდება, დანართის შესაბამისად.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა №1 (ბოტანიკური ბაღი).

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დირექტორად დაინიშნოს ~~გლინა სოსელია~~ (პირადი №62001033931, 01010006188)

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ წესდებასა და სარეგისტრაციო განაცხადზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს დირექტორს. “

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის ~~მოადგილეს~~ ^(გონივრულად) ~~გორგო ცხაკაიას~~ ~~ქვემოთაღნიშნულს~~.

4. დადგენილების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) ერთ თვეში.

ქ. თბილისის მერი

გიორგი უგულავა

შეთანხმებულია:

ლ. ნინო

დავით ნინოძე

დავით ალაგოძე

გიორგი ცხაკაია

ირაკლი აბესაძე

(Handwritten signature)